საინფორმაციო ბიულეტენი

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

DRI-ის საქმიანობა ნოემბერში

კონფლიქტები

- რუსული ოკუპაციის მორიგ მსხვერპლთან დაკავშირებით ხელისუფლების არაეფექტიანი რეაგირება თვალშისაცემია
- რუსეთი დე-ფაქტო აფხაზეთის ენერგოკრიზისს სტრატეგიული ობიექტების ანექსიისთვის იყენებს

გამოხატვის თავისუფლება

- რაჭის პროტესტთან დაკავშირებით ხელისუფლება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას უკანონოდ ზღუდავს

ულტრამემარჯვენე ჯგუფები

- „ქართული ოცნებისა“ და ულტრამემარჯვენე ჯგუფების ორკესტრირებული რიტორიკა გააქტიურდა

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

- ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა ევროკომისიას



- კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციასა და დეზინფორმაციის მიმართულებით ახალ დათქმას ეხმაურება

ირაკლი ბებუას უკანონო პატიმრობის 1135 დღე

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას და საერთაშორისო საზოგადოებას, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმი ირაკლი ბებუას უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გასათავისუფლებლად.

საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა დაიწყო პროექტი “საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ”, რომლის ფარგლებშიც დააკვირდება ყველა პოლიტიკური შინაარსის მქონე აქციას. პროექტის მიზანია აქციების მიმდინარეობაზე ობიექტური დაკვირვება და მშვიდობიანი შეკრებებისა და გამოხატვის უფლების რეალიზება.